სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/36

ქ. თბილისი

13 თებერვალი 2019

სტუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობებზე არჩევნების დანიშვნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-02/5 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად, სტუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიური საბჭოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმომადგენლების ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები.
2. წარედგინოს რექტორს წინადადება სტუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე არჩევნების გამოცხადების თაობაზე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **არჩილ ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გიორგი სალუქვაძე**